

# კვლევის ანგარიში

საკომუნიკაციო უნარების განვითარების ხელშეწყობა არაქართული  
სკოლის მოსწავლეებში

2018-2019 სასწავლო წელი, ნოემბერი-მაისი

კვლევის ანგარიში მომზადებულია სსიპ სოფელ ხოჯორნის საჯარო სკოლის  
კონსულტანტ-მასწავლებლის ლალი მარგიანის მიერ.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ტელეფონი: 551098959

ელექტრონული ფოსტა: [margianilali@gmail.com](mailto:margianilali@gmail.com)

## შინაარსი

- შესავალი (საკვლევი ჰიპოთეზა და კვლევის მიზანი)-----2
- ლიტერატურის მიმოხილვა -----4
- მეთოდოლოგია -----6
- ინტერვენცია და განხორციელებული ცვლილებები ----- 6
- ინტერვენციის შეფასება და შედეგები -----15
- მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი ----- 16
- კვლევის შედეგები, დასკვნა, რეკომენდაციები, რეფლექსია ----- 17
- ბიბლიოგრაფია ----- 20

## შესავალი

კვლევა მოიცავს სსიპ სოფელ ხოჯორნის საჯარო სკოლის მე-12 კლასში არსებული პრობლემის შესწავლის, ცვლილების დაგეგმვა-განხორციელებისა დაშეფასების ეტაპებს.

უკვე მეორე წელია, რაც სომხურენოვან სკოლაში ვასწავლი ქართულ ენასა და ლიტერატურას. ვისთვისაც ოდნავ მაინც ცნობილია, რამდენად პრობლემურია არაქართულენოვან გარემოში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის სახელმწიფო ენის სწავლება, დამეთანხმება, რომ საკვლევი თემის არჩევა მართლაც რთული იქნებოდა თუნდაც იმის გამო, რომ პრობლემა უამრავია.

21-ე საუკუნემ ძალიან დიდი მოთხოვნების წინაშე დააყენა ქართული საგანმანათლებლო სისტემა. გვახსოვს, რომ რამდენიმე წლის წინ სკოლა ორიენტირებული იყო დეკლარატიული ცოდნის მიღებაზე, თუმცა დღევანდელ პირობებში ეს სააზროვნო უნარი არასაკმარისია და ზგემ-ისა და ესგ-ის მოთხოვნების გათვალისწინება აუცილებელია სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოსაყალიბებლად. ზგემ-ის ერთ-ერთი პუნქტის მოთხოვნაა, რომ სკოლამ უნდა გაზარდოს კომუნიკაბელური მოქალაქე.

ზგემის ერთ-ერთ მუხლში ვკითხულობთ:

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან:

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები, მათ შორის იმათ, ვისთვისაც საქართველოს სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის;

წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/11098?publication=0>

საკომუნიკაციო უნარების განვითარებისთვის აუცილებელია ვერბალური მარაგის (ლექსიკის) გამდიდრების ხელშეწყობა დაწყებითი კლასებიდანვე, თუმცა საკვლევ კლასს არ ჰქონდა საფუძვლიანი ქართული ენის ლექსიკური მარაგი. საკვლევ საკითხზე ორგანიზებული მუშაობა მიმდინარე სასწავლო წლის ნოემბრიდან დავიწყე. პირველ რიგში საკვლევი თემატიკის კავშირი ქართული ენისა და

ლიტერატურის სწავლებასთანაა კავშირში და ამიტომ საკომუნიკაციო უნარების (წერა, კითხვა, მეტყველება და მოსმენა) განვითარებაზე ხელშეწყობა დავიწყე.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ:

„ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის ბირთვს წარმოადგენს ენა, როგორც პიროვნების თვითგამოხატვის, აზრის ჩამოყალიბებისა და გადაცემის საშუალება. ენობრივი უნარ-ჩვევები წარმოადგენს არა შემთხვევით ნაკრებს, არამედ ერთ მთლიან სისტემას. მან ხელი უნდა შეუწყოს პიროვნების პირადი, ცხოვრებისეული, სოციალური თუ პროფესიული სირთულეების დამოუკიდებლად დაძლევის პროცესს.

სწავლების ძირითადი პრინციპია საგნის (ენისა და ლიტერატურის) შინაარსობრივი ერთიანობა.

განისაზღვრება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითადი მიზნები:

- განუვითაროს მოზარდს ძირითადი საკომუნიკაციო უნარები (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა);
- გამოუმუშაოს წერიტი და ზეპირი მეტყველების კულტურა;
- განუვითაროს საკუთარი აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით გამოთქმისა და სხვადასხვა დანიშნულების წერილობითი ტექსტის შექმნის უნარი;
- ჩამოუყალიბოს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების უნარი;
- შეაყვაროს კითხვა; გამოუმუშაოს ლიტერატურის, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურის ფაქტის, აღქმისა და გაცნობიერების უნარი;
- გააცნობიერებინოს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურა, როგორც ცვლილებისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესი.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის უნარ-ჩვევების განვითარება. (ესგ, მუხლი 58).

როგორც ვხედავთ, ენა-ლიტერატურის სწავლების მიზნებიდან უპირველესია საკომუნიკაციო უნარების განვითარება (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა და წერა). წინამდებარე კვლევაც საკომუნიკაციო უნარების განვითარების ხელშეწყობას შეეხება.

**პრობლემა და მისი მიმოხილვა:** დასმულ კითხვაზე, არის თუ არა საკომუნიკაციო უნარების პრობლემა მოსწავლეებში, გვიპასუხებენ რომ ბავშვების უმეტესობა საუბრობს ძირითადი ლექსიკური ფონდის შეზღუდული რაოდენობის სიტყვებით, მეტყველებაში ჭარბობს მარტივი კონსტრუქციის წინადადებები და ხშირად ვერ გადმოსცემენ ზუსტად თავიანთ აზრებს. პრობლემა უფრო მძაფრია

არაქართულენოვან მოსწავლეებში (მათის, ვისთვისაც ქართული ენა არ არის მშობლიური). სათქმელისა და თქმულის არათანხვედრობის, უზუსტობისა და ზოგჯერ კომიკურობის მიზეზი ხშირად სიტყვათა მარაგის სიღარიბეა. ჩემი მოსწავლეების ლექსიკურ-საკომუნიკაციო შესაძლებლობა პირდაპირ კავშირშია სოციალურ-ლინგვისტურ გარემოსთან, რომელშიც უწევს ცხოვრება. ჩემი დაკვირვების დასაწყისში მოსწავლეები იყენებენ ძირითად ლექსიკურ ფონდს (სიტყვებს, რომლებიც სასკოლო გარემოში ყველაზე მეტად ესაჭიროებათ).

**ჩემ მიერ განხორციელებული კვლევა მიზნად** ისახავდა, გაზომილიყო მოსწავლეებში საკომუნიკაციო უნარების მდგომარეობა და დადგენილიყო, განვითარებას რამდენად შეუწყობდა ხელს უნარების პროგრესირებას ჩემ მიერ განხორციელებული ინტერვენციები.

**საკვლევი შეკითხვა** მდომარეობს შემდეგში: მოსწავლეებში სოციო-კულტურული პროექტები განაპირობებს თუ არა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებასა და საკომუნიკაციო უნარების განვითარებას?

### **ლიტერატურის მიმოხილვა**

ვიდრე კვლევას დავიწყებდი, მიმოვიხილე არსებული ბეჭდური და ონლაინ ლიტერატურა, რომელიც შეეხება სწავლა-სწავლებას. საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრე კოლეგებს არა მარტო ჩემს სკოლაში, არამედ გავითვალისწინე სხვა სკოლების პედაგოგების მოსაზრებებიც. როცა მასწავლებელი დაისახავს მიზნად მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების იმდენად განვითარებას, რომ მოხერხდეს მოსწავლეთა უნარების ტრანსფერირება, უნდა იცოდეს, რომ ეს გულისხმობს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, რაც თავის მხრივ გამოხატავს სწავლის სწავლას და პედაგოგმა ხელი უნდა შეუწყოს აღსაზრდელის შემეცნების ანუ აზროვნების პროცესების გაცნობიერებასა და მართვას. აზრებისა და ფიქრების გაცნობიერება-მართვა საკომუნიკაციო უნარების გარეშე წარმოუდგენელია, ვერბალური საკომუნიკაციო უნარების საფუძვლი კი ლექსიკური მარაგის სიმდიდრეა, რომლის სინტაქსურ კონსტრუქციებად ქცევა შედარებით იოლდება სიტყვათა მარაგის გამდიდრების მერე.

მეტაკოგნაციის დროს გასათვალისწინებელია სამი რამ: რა ვიცით, რას ვაკეთებთ და როგორია ჩვენი ფსიქო-ემოციური და სააზროვნო მდგომარეობა, ანუ მეტაკოგნიციის დროს ხდება იმის შემეცნება, თუ რა ვიცით (მეტაკოგნიტური ცოდნა), იმის გაცნობიერება, თუ რას ვაკეთებთ, როგორ ვიქცევით (მეტაკოგნიტური უნარი), ან როგორია ჩვენი მიმდინარე კოგნიტური და ემოციური მდგომარეობა (მეტაკოგნიტური შეგრძნება).

ეროვნული სასწავლო გეგმის ვებ-პორტალზე ვკითხულობთ საგანმანათლებლო პრონციპების შესახებ: „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო კონცეფციას და განსაზღვრავს ხუთ ძირითად საგანმანათლებლო პრინციპს, რომლებსაც უნდა დაეყრდნოს სწავლა-სწავლების პროცესი. ეს პრინციპებია:

ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას.

ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.

დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა).

ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს. “

ამ პრინციპზე დაყრდნობით წარვმართე სასწავლო პროცესი სკოლის მე-12 კლასში, სადაც ეთნიკურად სომეხი ხუთი მოსწავლე სწავლობს.

ცხადია, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში მხოლოდ განსაზღვრული მოცულობის ინფორმაციის დაგროვება ანუ ცოდნის შექმნაა შესაძლებელი. როცა ამას ითვალისწინებს პედაგოგი, იწყებს „სკაფოლდინგის“ მეთოდით და ნელ-ნელა, სტრატეგიულად უმატებს „ხარაჩოს ხარაჩოზე“. ცნობილია ისიც, რომ ახალ მასალას უფრო სწრაფად ისწავლით და მოგვიანებით უფრო ადვილად გაიხსენებთ, თუ მას რაიმე სახის ორგანიზებას გაუკეთებთ. ამგვარად, არსებობს სხვადასხვა სტრატეგიები, რომლებიც ხელს უწყობს ახალი მასალის ეფექტურად ათვისებაში, ზოგადად, სწავლასა და მაღალი შედეგების მიღწევაში. არ უნდა გვქონდეს ილუზია იმისა, რომ მოსწავლე ერთბაშად დაიმახსოვრებს ყველა იმ ინფორმაციას, რაც სახელმძღვანელოშია და ან მასწავლებელი ეტყვის, თუმცა გამოსაყოფია ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის დასწავლა (ცოდნა) დროის მონაკვეთების მიხედვით, რაც უადვილებს უფრო მაღალი დონის სააზროვნო უნარებზე გასვლას. საკვლევი მასალის სათაურიდანვე ჩანს, რომ ზოგადი განათლების ერთ-ერთი მოთხოვნის მიღწევას მე და ჩემმა მოსწავლეებმა თითქმის მთელი სასწავლო წელი მოვანდომეთ, რაშიც ძალიან დიდი დახმარება გამიწია გარდა განათლებისა და მეცნიერების



სამინისტროს მიერ გამოცემულმა მეთოდურმა ლიტერატურამ, არამედ ინტერნეტ-ჟურნალმა „მასწავლებელმა“ და სხვა მედია-საშუალებებმაც.

### **კვლევის მეთოდოლოგია**

როცა საკვლევი საკითხი გამოვკვეთე, კოლეგებთან კონსულტაციების საფუძველზე შევარჩიე კვლევის მეთოდოლოგია. თვისობრივი კვლევის მეთოდებიდან (დაკვირვება, ჩაღრმავებული ინტერვიუ და ფოკუსჯგუფი) ავარჩიე ფოკუსჯგუფი, თუმცა გვერდი ვერ ავუარე დაკვირვებასა და ინტერვიუებებსაც. 5 მოსწავლისგან შემდგარი ფოკუსჯგუფის დაიგეგმა და განხორციელდა ინტერვენცია, რომლის შედეგებიც ასევე გაიზომა შესამისი დავალებებით და დამოუკიდებელი სამუშაოებით, რომლებიც შეფასდა რუბრიკებით, ასევე ეტაპობრივად ვღებულობდით პოზიტიურ უკუკავშირს იმ ადამიანებისგან, ვინც ჩვენს ინტერვენციებში ჩაერთო. როგორც ამბობენ, ფოკუსჯგუფში უმჯობესია იყოს ერთი და იმავე სოციალური ფენის დასაკვირვებელ წარმომადგენელთა დაახლოებით 10 პიროვნებიანი ჯგუფი, თუმცა, კონკრეტულ შემთხვევაში ფოკუს ჯგუფში მხოლოდ 5 ბავშვი მოექცა, ასევე – ყველა ის პედაგოგი, რომლებიც ასწავლიან მე-12 კლასში და ხუთივე მოსწავლის მშობლები. ბუნებრივია, რაოდენობრივი მეთოდოლოგიითაც მოხდა რამდენიმე ქვესაკითხზე კვლევა.


### **ინტერვენცია და განხორციელებული ცვლილებები**

ინტერვენციამდე დავიწყე იმ სოციუმის შესწავლა, რომელშიც უწევს ცხოვრება ფოკუსჯგუფის წევრებს. 5 მოსწავლიდან ყველას დედა დიასახლისია, მამების უმეტესობას უწევთ მძიმე ფიზიკური სამუშაოების შესრულება საქართველოსა და საზღვარგარეთ. მამებს შვილებისთვის დრო თითქმის არ რჩებათ სამუშაო გრაფიკისა და სამუშაო ადგილმდებარეობის გეოგრაფიიდან გამომდინარე. ფოკუსჯგუფების დაკვირვებამ მაჩვენა შემდეგი:

5 მოსწავლიდან ერთს ძალიან უჭირდა კომუნიკაცია ქართულ ენაზე, ქართულ ენაში 4 მოსწავლიდან სამს ჰქონდა შეფასება 9, ხოლო ერთს – 8. მონაცემები აღებულია ამ კლასის წინა სასწავლო წლის აკადემიური მოსწრების უწყისის მიხედვით (მე-11 კლასის წლიური შეფასება).

იხილეთ ცხრილი და დიაგრამა (დიაგრამაში ცისფერით აღინიშნა მოსწავლეთა რაოდენობა, ხოლო ყავისფერით – ქულა) აღნიშნული მონაცემების შესახებ:

მოსწავლეთა რაოდენობა	1	1	3
ქულა	6	8	9




რაც შეეხება მშობლების მხრიდან სახელმწიფო ენის ცოდნას, მონაცემები ასეთია:

სახელმწიფო ენა საერთოდ არ იცის მოსწავლეთა არცერთმა დედამ, 5 მამიდან სამი საზღვარგარეთ (რუსეთში) არის დასაქმებული და მათ არ იციან ქართული ენა, ასევე – საქართველოში მცხოვრებმა კიდევ ერთი მოსწავლის მამამ არ იცის ქართული, ხოლო ერთმა იცის გაგების დონეზე.

სახელმწიფო ენა (ქართული)	მამა	დედა
იცის გაგების დონეზე მაინც (რაოდენობა)	1	0
არ იცის საერთოდ	4	5

დიაგრამის სახით ეს მონაცემი ასე გამოიხატება:



მშობლების ფოკუსჯგუფის ანალიზი გვამღევეს იმ სურათს, რომელზეც ცალსახად ვკითხულობთ იმ სოციუმის შინაარსს, რომელშიც მოსწავლეებს უწევთ ცხოვრება – თითქმის სრულად არაქართულ გარემოში.

რაც შეეხება მე-12 კლასის მასწავლებელთა ფოკუსჯგუფს, მათთან მქონდა მხოლოდ საკითხი: თუ უხდებოდათ ბილინგვური (სომხურ-ქართული) სწავლება, როგორ შეაფასებდნენ სასწავლო წლის დასაწყისში ქართული ენის ცოდნის დონეს და სასწავლო წლის ბოლოს. მასწავლებელთა ფოკუსჯგუფი მოიცავდა მთელი წლის განმავლობაში მიწოდებულ ინფორმაციას აღნიშნულზე. საბოლოოდ დადგინდა, რომ საგნები ისწავლებოდა მხოლოდ მშობლიურ (სომხურ) ენაზე და სახელმწიფო ენის ცოდნის დონე გაუმჯობესებული იყო.

რახან საკომუნიკაციო უნარების განვითარების ხელშეწყობა დავისახე მიზნად, გადავწყვიტე, მიმემართა სწავლა კეთებით და პროექტებით სწავლებისკენ მთელი ყურადღება. ვთვლი, რომ სწავლების ამ მეთოდებით ყველაზე კარგად ხედავს მოსწავლე დეკლარატიული ცოდნის შემდგომ სარგებელს მოსწავლე.

საინტერვენციოდ სასწავლო წლის დასაწყისში დავისახე რამდენიმე აქტივობა, რომელიც იყო პროექტის ფორმით მიწოდებული მოსწავლეებზე და პროექტის ატიური მონაწილეები იყვნენ ყოველთვის მოსწავლეები. ამ პროექტების შინაარსი იყო სოაციო-კულტურული და ეფექტიც მოჰყვა.

პროექტებით სწავლების შესახებ ჟურნალ „მასწავლებელში“ ნათქვამია: „პროექტი, როგორც მეთოდი განათლების სფეროში მე-20 საუკუნის დასაწყისში გახდა



აქტუალური. პროექტით სწავლება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. პროექტგაკვეთილი – კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალფეროვანი სამუშაოა, რომლის დროსაც ვითარდება კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და საკომუნიკაციო უნარები. პროექტით სწავლება აქტიური და მიზანმიმართული სწავლის საშუალებას იძლევა. პროექტი წარმოადგენს სწავლების განსაკუთრებულ ფორმას, სადაც მასწავლებლები და მოსწავლეები ერთობლივად ფორმულირებულ თემას/საკითხს, პრობლემას მიმართავენ, რომლის დასამუშავებლად განავითარებენ გეგმას, მონაწილეობენ მის გადაჭრაში და ერთ საერთო პროდუქტს წარმოადგენენ. პროექტზე მუშაობა ნათელყოფს, რომ როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლეების წინაშე სრულიად ახალი ამოცანები დგება, რომელიც არსებითად განსხვავდება ტრადიციული გაკვეთილისგან. პროექტებით სწავლება გულისხმობს სკოლის გარეშე დაწესებულების ჩართვას სასწავლო პროცესში. პროექტით სწავლებასთან ერთად იზრდება ორივე მხარის (როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლის) კომპეტენციის მოპოვების პოტენციალი და შესაძლებლობები. პროექტებზე მუშაობის პროცესი მოსწავლეს აყენებს აქტიური შემმეცნებლის როლში, რომელსაც წამოჭრილ პრობლემებთან გამკლავება უხდება. კერძოდ, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისას მოსწავლე აწყდება პრობლემას, რომლის გადაჭრაც უჭირს მხოლოდ იმ ცოდნით, რომელიც აქვს მას. ამ მიზნით იგი არკვევს, თუ რისი ცოდნაა საჭირო დასმული პრობლემის უკეთ გასაგებად. ამ პროცესში მოსწავლე აქტიურია, მიმართავს თვითგანათლებას, ეძებს საჭირო ინფორმაციას (წიგნებს, გამოკვლევებს, ანგარიშებს, ელექტრონულ ინფორმაციას) და ა.შ. ამის შემდეგ მოსწავლე, აღჭურვილი ახალი ცოდნით, კვლავ უბრუნდება პრობლემას და ახერხებს მის გადაჭრას. ბოლოს მოსწავლე აფასებს საკუთარ თავს. თვითშეფასება მოსწავლის არსებითი უნარ-ჩვევია, რომელიც მას ეფექტიან, დამოუკიდებელ სწავლაში ეხმარება.“ (რუსუდან გონაშვილი, 11 ნოემბერი, 2014 წელი)

ინტერვენციისათვის გამოვიყენე:

1. შეხვედრა პედაგოგ რუსუდან გონაშვილთან
2. შეხვედრა ნოველისტ და ჟურნალისტ დინა მირცხულავასთან
3. შეხვედრა პოეტ ტარიელ ხარხელაურთან
4. თანამშრომლობა გიორგი კილაძესთან (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა)
5. შეხვედრა სვანეთში სოფელ ლახამულის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან
6. შეხვედრა ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან
7. გვეწვივნენ წეროვნის N2 საჯარო სკოლის მოსწავლეები

8. მოვიწვიეთ მასწავლებელი იზა ხეცურიანი სკოლაში
9. მოვიწვიეთ ფოტოკონკურსის შესაფასებლად გოგა ჩანადირი და ასევე მან ჩაატარა მოსწავლეებთან მასტერ-კლასი ფოტოგრაფიაში
10. მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ფარის საჯარო სკოლის ორგანიზებულ კონკურსში („ჩემი პირველი მოთხრობა“) მონაწილეობა
11. სასკოლო კონკურსი კალიგრაფიაში
12. წიგნის კითხვის დღე
13. ტექსტების გახმოვანება (ხმოვანი ვერსიის წარმოდგენა რამდენიმე ნაწარმოებზე)
14. მედიაწიგნიერების მინიპროექტი \_ ვესაუბრებით ჟურნალისტს
15. პროექტი „ვუკითხავ ქართულად ჩემი ოჯახის წევრებს“
16. ფოტომასალის „გარდაქმნა“ ვერბალურ მასალად
17. პროექტი „მისწერე მეგობარს მხოლოდ ქართულად ინტერნეტით“

შემოგთავაზებთ ყველა ინტერვენციის აღწერას:

### **შეხვედრა პედაგოგ რუსუდან გონაშვილთან**

გამომდინარე იქიდან, რომ ვარ გაწევრიანებული საქართველოს სახელმწიფო ენის მასწავლებელთა ასოციაციაში, რომლის დამფუძნებელი დირექტორია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის პედაგოგი რუსუდან გონაშვილი, გადავწყვიტე ჩამერთო მოსწავლეები ასოციაციის მიერ გამოცხადებულ პროექტებში. პირველივე შეხვედრამ დამანახა, რომ გარკვეული ბარიერი გადალახული იყო და აუცილებლობას წარმოადგენდა ამ(და სხვა) მოსწავლეების კომუნიკაცი-ინტეგრირება ქართულ სოციალურ სფეროში. ოთხივე გოგონა დაუმეგობრდა სოციალურ ქსელში რუსას და შეხვედრაზე გაცნობილ თანატოლებს. მათ გაუჩნდათ კომუნიკაციის სურვილი ქართველ თანატოლებთან(და არა მარტო).

პროექტი „ფსოუზე არეკლილი ვარსკვლავებად“, დაეხმარათ მოეპოვებინათ ინფორმაცია, რომელსაც მანამდე არ ფლობდნენ, არ იცოდნენ და არ სმენოდათ არაფერი აფხაზეთთან დაკავშირებით. პროექტებში ჩართვამ საკმაო გამბედაობა და გამოცდილება შემატა მათ.

### **შეხვედრა ნოველისტ და ჟურნალისტ დინა მირცხულავასთან**

სსემას პროექტზე „ფსოუზე არეკლილი ვარსკვლავებად“ მუშაობისას გადავწყვიტე შემეხვედრებინა ახალგაზრდა ნოველისტთან დინა მირცხულავასთან, რომელიც აფხაზეთიდანაა დევნილი და მისი ნოველების უმრავლესობა აფხაზეთს ეხება. მასთან შეხვედრამდე გავაცანი ავტორის შემოქმედება. გოგონებმა თვითონ ამოარჩიეს ის ნოველები, რომელსაც შეხვედრისას წაიკითხავდნენ. ლუსინემ ილუსტრაციაც კი შექმნა მოთხრობაზე „საიდა“, რომელიც თავად წაუკითხა ავტორს და შთაბეჭდილებაც გაუზიარა თანატოლებს და პედაგოგებს. მოსწავლეები დღემდე მეგობრობენ მასთან.

## **შეხვედრა პოეტ ტარიელ ხარხელაურთან**

მე-11 კლასის დასასრულს, გადავწყვიტე შემაჯამებელი გაკვეთილი ტარიელ ხარხელაურის ლექსებით გამეკეთებინა. გოგონებს მოეწონათ მისი პოეზია. გადავწყვიტე მე-12 კლასში შემეხვედრებინა მოსწავლეები პოეტთან. შეხვედრამდე ისინი გაეცნენ მის ბიოგრაფიას, შემოქმედებით გზას და ლუსინემ პოეტთან ინტერვიუ ონლაინ აიღო. მან წინასწარ შედგენილი კითხვარი გაუგზავნა ფ/ბ გვერდის მეშვეობით და შეხვედრისას უკვე მოსწავლეებს ჰქონდათ თითქმის სრული ინფორმაცია სტუმრის შესახებ. ამ ღონისძიებით, გარდა იმისა, რომ გაეცნენ პოეტის შემოქმედებას, მათ კვლევა-ძიების, კითხვის უნარებიც გაიუმჯობესეს.

## **თანამშრომლობა გიორგი კილაძესთან (საქართველოს პარლამენტის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე)**

სსემას პირველი პროექტიდანვე დავიწყეთ გიორგი კილაძესთან თანამშრომლობა. აქტიური მონაწილეობა მივიღეთ პროექტში „სასკოლო ლექსიკონთა ერთიანი ბაზა“ (სომხურ-ქართული ლექსიკონის შექმნა), ოთხივე მოსწავლე გოგონამ გაახმოვანა „სასკოლო ლიტერატურა“, ბიბლიოთეკის ციფრულ რესურსში არსებული სხვადასხვა ქართველ მწერალთა ნაწარმოები (ანა ლაშხელი ონიანის „აკვანი“-ყველა, ლ. ასათიანის „ქართული ენა“-ნელი, მ. მაჭავარიანის „საბა“-ლუსინე, ტ. ტაბიძის „რია-რია“-ეთერა).

## **შეხვედრა სვანეთში სოფელ ლახამულის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან**

საქართველოს უკეთ გაცნობისა და ქართველ თანატოლებთან ინტეგრაციის მიზნით ვესტუმრეთ მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლახამულას საჯარო სკოლას. შედგა კომუნიკაცია ადგილობრივ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის. მასპინძლების წინაშე ჩვენი ქართული პროგრამით წარვსდექით. მოსწავლეები სოფლის მაცხოვრებლებსაც გაეცნენ და დაამყარეს კომუნიკაცია მასპინძელ ოჯახებთან.

## **შეხვედრა ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან**

ცაგერის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან და მასწავლებლებთან შეხვედრის მიზანი ისევ და ისევ ქართველ ბავშვებთან ინტეგრაცია და ქართული სტუმარ-მასპინძლობის გაცნობა იყო. მოსწავლეებს ქართულმა ოჯახებმა უმასპინძლეს. ქართული ენის დღესთან დაკავშირებით ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმში სტუმრობაც არ იყო შემთხვევითი.

## **გვეწვივნენ წეროვნის N2 საჯარო სკოლის მოსწავლეები**

სოფელ წეროვნის N2 საჯარო სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლების სტუმრობა სომეხი მოსწავლეებისთვის კიდევ ერთი დასტური იყო იმისა, რომ ერთი ცის ქვეშ მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური თუ რელიგიის წარმომადგენელ მოზარდებს ერთნაირი იდეები, აზრები და ოცნებები აქვთ.

### **მოვიწვიეთ მასწავლებელი იზა ხეცურიანი სკოლაში**

პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“ კონსულტანტ-მასწავლებელი იზა ხეცურიანი სკოლას რამდენჯერმე ესტუმრა და სიმღერის მასტერ-კლასი ჩაუტარა.

### **მოვიწვიეთ ფოტოკონკურსის შესაფასებლად გოგა ჩანადირი და ასევე მან ჩაატარა მოსწავლეებთან მასტერ-კლასი ფოტოგრაფიაში**

ფოტოკონკურსის „მე და შემოდგომა“ მოვიწვიე გოგა ჩანადირი, რომელმაც შეაფასა მოსწავლეთა ნამუშევრები და ქართულ ენაზე ჩაუტარა მასტერ-კლასი.

### **სასკოლო კონკურსი კალიგრაფიაში**

კალიგრაფიის კონკურსმა შარშანდელთან შედარებით გამოავლინა მოსწავლეების უფრო ფაქიზი, სერიოზული დამოკიდებულება ქართული ენისადმი.

### **წიგნის კითხვის დღე**

წიგნის ხმამაღლა კითხვის საერთაშორისო დღეს ხუთივე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. სეირანსაც გაუჩნდა სურვილი წაეკითხა ქართულად. ეს იყო მიღწევა, რადგან მან სრულად დაძლია ვერკითხვის კომპლექსი, რომელიც მეორე წელია აწუხებდა.

### **ტექსტების გახმოვანება (ხმოვანი ვერსიის წარმოდგენა რამდენიმე ნაწარმოებზე)**

გარდა ზემოხსენებული ნაწარმოებებისა, გახმოვანდა ტარიელ ხარხელაურის ლექსი, რომელიც ლუსინემ წაიკითხა. ვახმოვანებთ დ. გურამიშვილის „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“.

### **პროექტი „გუკითხავ ქართულად ჩემი ოჯახის წევრებს“**

ლუსინემ და მარტინამ შეძლეს დაეინტერესებინათ ოჯახის წევრები, კერძოდ უმცროსი დები ქართული ნაწარმოებების კითხვით და შეძლეს, რომ დღეს ისინი აქტიურად არიან ჩართული თითქმის ყველა პროექტში.



## მედიაწიგნიერების მინიპროექტი – ვესაუბრებით ჟურნალისტს

ეს იყო მინიპროექტი, როცა გოგონებმა ვირტუალურად ინტერვიუ მისცეს ჟურნალისტს როლანდ ხოჯანაშვილს. მათ სრულიად დამოუკიდებლად გასცეს პასუხები კორესპოდენტს.

ესაუბრნენ და პირადად გაეცნენ ირმა ჯაჭვლიანს, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გაზეთის „ლილე“ დამფუძნებელს და შესთავაზეს საკუთარი სტატიები დასაბეჭდად.

## პროექტი „მისწერე მეგობარს მხოლოდ ქართულად ინტერნეტით“

მოსწავლეები წერენ ქართველ მეგობრებს სოციალური ქსელის მეშვეობით არა მარტო პირად წერილებს, საჯაროდ ულოცავენ დღესასწაულებს, დაბადების დღეებს და უზიარებენ საკუთარ აზრებს.

## ფოტომასალის „გარდაქმნა“ ვერბალურ მასალად

ფოტოსურათების მიხედვით მოსწავლეები ქმნიდნენ ამბებს როგორც ზეპირად ისე წერილობითაც. მათ შეუძლიათ საკუთარი ფანტაზიის დამატებით გარდაქმნან „მუნჯი“ ფოტო საინტერესო ამბად.

## მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ფარის საჯარო სკოლის ორგანიზებულ კონკურსში („ჩემი პირველი მოთხრობა“) მონაწილეობა.

ჩემ მიერ განხორციელებული ინტერვენციების შედეგების პიკი იყო მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ფარის საჯარო სკოლის ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებლის ეკატერინე წულუკიძის მიერ ორგანიზებული პროექტში „ჩემი პირველი მოთხრობა“ მონაწილეობა. წიგნში „შტრიხების მონოპოლია“ ლუსინეს („ჩემი ქართულის მასწავლებელი“), მარტინას („რა არის ბედნიერება“) და ეთერას („ჩემი მშობლიური ენა“) ნამუშევრები დაიბეჭდა.

როგორც ესგ-ის 58-ე მუხლი გვეუბნება, **ზეპირმეტყველება** ორ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ სამეტყველო ქცევას აერთიანებს. ესენია: **მოსმენა** და **ლაპარაკი**. ამ სამეტყველო ქცევებთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების თანამიმდევრული განვითარება მიზნად ისახავს თავისუფალი, თანამედროვე კომუნიკაციისათვის მზადმყოფი პიროვნების ჩამოყალიბებას. ეს გულისხმობს შემდეგი უნარების განვითარებას:

- ზეპირმეტყველების უნარი

- აზრისგამოხატვის უნარი
- მოსმენისკულტურის უნარი
- სოციალურიკომუნიკაციის უნარი
- ინტერაქტიურიუნარი

ამ უნარების განვითარება საფუძველს უყრის კომუნიკაბელური, ჰუმანური, ტოლერანტული, სხვათა აზრის დამფასებელი პიროვნების აღზრდას.

საგულისხმოა კითხვისა და წერის მიმართულებებიც. ცნობილია, რომ კითხვის სწავლების მიზანია:

- მოსწავლეებში წერილობითი ტექსტის გაშიფვრის უნარის გამომუშავება(გაშიფვრა, იგივე დეკოდირება - სიტყვის გრაფიკული ხატის აკუსტიკურ ხატად კონვერტირება, ანუ ასოების ამოცნობა და მათი დაკავშირება შესაბამის ბგერებთან.
- ბგერების სიტყვად გამთლიანება(აკუსტიკური ხატის სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირება გაწაფული კითხვის უნარის განვითარებისთვის).
- წაკითხულის გაგება-გააზრების უნარის განვითარება (მოსწავლეებს უნდა ესმოდეთ ის, რასაც კითხულობენ. სწორედ ეს უნარი აძლევს მათ საშუალებას, შეიძინონ ცოდნა და მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების ტექსტებიდან)

კითხვის სწავლების საბოლოო მიზანია წაკითხულის გააზრება, რაც გულისხმობს მკითხველის აქტიურ მონაწილეობას კითხვის პროცესის სამივე ეტაპზე:

1. კითხვის დაწყებამდე
2. კითხვის დროს
3. კითხვის შემდეგ

კითხვის ტექნიკის თანდათანობით სრულყოფა საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, გახდნენ გაწაფული მკითხველები, გაიგონ და გაიაზრონ წაკითხული. ასევე, წერის ტექნიკის დახვეწაც საგულისხმოა, რადგან წერითი მეტყველება ძალიან მნიშვნელოვანია თუნდაც იმის გამო, რომ სახელმწიფო ენაზე საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება შეძლონ მომავალში.

პროექტებით სწავლებამ იმდენი დადებითი თანმხლები შედეგი გამოიღო, რისი პროგნოზირებაც, ფაქტობრივად წარმოუდგენელი იყო. ინტერვენციის შედეგებზე ქვემოთ ვისაუბრებთ, თუმცა საკომუნიკაციო უნარების განვითარების გარდა ამ პროექტებით სწავლებამ გვაჩვენა, რომ მათი დასრულების მერე გახდნენ მოსწავლეები უფრო მიზნობრივები, სოციალურად წონადები, დაიბეჭდა მათზე რეიტინგულ გამომცემლობაში სადაც აქცენტი ზუსტად მათ მიერ ქართულის სწავლის დიდ სურვილზეა, გამოუმუშავდათ კრეატიული და თანამშრომლობითი უნარები, ისწავლეს შორ მანძილზე გადაადგილების წესები, გახდნენ ცნობადები, დაიწყეს სოციალური ქსელებით კონტაქტები, დაისახეს მიზნად, რომ ხუთიდან სამმა ქართულად ისწავლოს უმაღლეს სასწავლებლებში, ხოლო შეფასება 6-ის მფლობელმა ვაჟმა განაცხადა, რომ ის ქართულს უკეთესად ისწავლის სამხედრო სავალდებულო სამსახურში.



## ინტერვენციის შედეგები

---

პროექტებით სწავლებისას მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ პოზიტიური დამოკიდებულება კითხვისა და, ზოგადად, სწავლის მიმართ, განუვითარდეთ მეტაკოგნიტური უნარები (საკუთარ სწავლის პროცესზე დაკვირვება, დამოუკიდებლად მუშაობა, სასწავლო საქმიანობის ორგანიზება და სხვა).

ზეპირმეტყველება (მოსმენა და ლაპარაკი) უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ცოდნის შეძენისა და ენობრივი უნარ-ჩვევების განვითარების პროცესში. გასათვალისწინებელია, რომ კითხვისა და წერისგან განსხვავებით, ზეპირმეტყველების უნარები მოსწავლეებს უკვე მეტ-ნაკლებად განვითარებული აქვთ სკოლაში მისვლამდეც: მათ ადრეული ცოდნა, ძირითადად, შეძენილი აქვთ მოსმენით, თუმცა საკვლევი კლასის მოსწავლეები ისმენდნენ არა ქართულს, არამედ სომხურს (მშობლიურს) და რუსულს (როგორც ყველაზე „საჭირო“ ენას იმისთვის, თუ თავის რეალიზებას გადაწყვეტდნენ რუსეთის ფედერაციაში); კომუნიკაციისა თუ თვითგამოხატვის მიზნით კი ამ ასაკის მოსწავლეები უმეტესწილად ლაპარაკს (სომხურ ენაზე) იყენებენ.

ინტერვენციის პროცესში, მე-12 კლასში შეიმჩნეოდა:

- მოსწავლეთა გააქტიურება
- მოსწავლეთა ხალისიანი განწყობა
- უფრო მდიდარი ლექსიკით საუბარი
- მცდელობა, რომ დამსგავსებოდნენ საუბრის მანერითა და სტილით მე, ასევე სხვა მათთვის სანიმუშო პირებს (პოეტს, ნოველისტს, ჟურნალისტს, მასწავლებლებს)
- ცდილობდნენ, მეტი კითხვა დამესვა მათთვის, რათა მოეხდინათ საკუთარი პროგრესის პრეზენტაცია
- შედარებით ხატოვნად ყვებოდნენ სიტუაციურ ამბებს, რომელიც მათ თვალწინ ხდებოდა (მაგალითად: ტოლმის მომზადების პროცესი, რომელზეც ჟურნალისტმა (როლანდ ხოჯანაშვილმა) მათ შეკითხვა დაუსვა. ტოლმის მომზადების შესახებ ჟურნალისტმა მოსწავლეებს მხოლოდ ზეპირი კომუნიკაციით კი არ გამოჰკითხა, არამედ „წვრილმანი დეტალების გამოპარვის“ პრევენციისთვის დააწერინა კიდევ და ელექტრონულად გადააგზავნინა თავისთან; ეზოში თამაშის შედეგები; სატელევიზიო გადაცემის განხილვა; მულტიპლიკაციური და მხატვრული ფილმების გადმოცემა; როგორ ამზადებს დედა საჭმელს; სამეურნეო საქმიანობის აღწერა; რომელი გადაცემები უყვარს ოჯახის წევრებს და სხვა)
- თავისებურად ცდილობდნენ, რომ ვერბალური ინფორმაცია გადმოეცათ ჟესტებითაც. ცდილობდნენ, რომ ვერბალური კომუნიკაციისთვის ჟესტიკულაცია ზუსტად აეწყოთ ემოციური თვალსაზრისით
- თავს იწონებდნენ სხვა მოსწავლეებთან და ოჯახის წევრებთან ახალი უნარების გამომჟღავნებით, ასევე უხაროდათ, რომ მათი ცნობადობა უფრო ამაღლდა, ასევე,

აცხადებდნენ, რომ მათ ჰყავთ მეგობრები სოციალურ და რეალურ სივრცეში სხვადასხვა წარმატებული ადამიანის სახით

- გადავიდნენ თვითსწავლასა და ურთიერთსწავლაზე. თვითსწავლის მომენტში ცდილობდნენ, რომ თავად მიეგნოთ იმ ყველაზე ეფექტიანი მეთოდებისა და ხერხებისათვის, რაც მათ დასახული მიზნის მიღწევაში დაეხმარებოდათ
- ცდილობდნენ, რომ სიტყვები გამოეთქვათ ზუსტად, ესაუბრათ უფრო დახვეწილი სინტაქსური კონსტრუქციებით და საკომუნიკაციო მცდელობა ყოფილიყო ეფექტიანი

### ინტერვენციის შეფასება

მე-12 კლასის მოსწავლეებმა არ იცოდნენ, რომ იყვნენ კვლევის მონაწილეები, ამიტომ ისინი სწავლობდნენ არა წახალისებისა და შექებისთვის, ან იმისათვის, რომ მათ მასწავლებელს კარიერული წინსვლა გაადვილებოდა, არამედ ამის შინაგანი მოტივაცია გაუჩინა მათ ინტერვენციებმა. მოსწავლეთა პროგრესირებას ვინიშნავდი ჩანაწერთა რვეულში, სადაც მოსწავლეთა ძლიერი მხარეების გარდა აღნიშნული მქონდა მათი სუსტი მხარეები. საკითხებზე ხშირად ვესაუბრებოდი რამდენიმე კოლეგას, რომლებსაც აქვთ წარმატებები თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში. მუდმივად ვცდილობდი, რომ მოსწავლეთა ძლიერ მხარეებზე დამეშენებინა სწავლა-სწავლების პროცესი, თითქმის ყველა საგაკვეთილო აქტივობას ჩემი მხრიდან განმავითარებელ შეფასებას ვურთავდი, სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად ვიყენებდი მასწავლებლებთან, მშობლებთან და საკუთრივ მოსწავლეებთან თანამშრომლობას, ვიყენებდი იმ შესაძლებლობებს, რომლებიც გააჩნდა მოსწავლეებს და სასკოლო თემს ზოგადად, ვახორციელებდი პრევენციას ყველა იმ შესაძლო საფრთხეზე, რომელიც, ჩემი დაკვირვებით, იყო მოსალოდნელი და პრევენციისთვის ვთანამშრომლობდი სკოლის პერსონალთან.

### მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი

ჩემი კვლევის ფარგლებში მოვახდინე მოსწავლეთა შედეგების ინტერვენციამდე და ინტერვენციის შემდგომი ანალიზი, რასაც წარმოგიდგენთ:

მე-11 კლასის დასრულებისას კლასში ქართულ ენაში:

სამი მოსწავლე შეფასებული იყო 9-ით;

ერთი მოსწავლე შეფასებული იყო 8-ით;

ერთი მოსწავლე შეფასებული იყო 6-ით.

მე-12 კლასის პირველი სემესტრის დასრულებისას ქართულ ენაში:

სამი მოსწავლე შეფასებული იყო 10-ით;

ერთი მოსწავლე შეფასებული იყო 9-ით;

ერთი მოსწავლე შეფასებული იყო 6-ით.

მე-12 კლასის მეორე სემესტრის დასრულებისას ქართულ ენაში:

ოთხი მოსწავლე შეფასდა 10-ით;

ერთი მოსწავლე შეფასდა 6-ით.

მონაცემებიდან ჩანს, რომ გასულ სასწავლო წელთან შედარებით შეფასება 8 საერთოდ აღარ დაწერილა მე-12 კლასის ქართულ ენაში (რვაოსანმა მოსწავლემ მე-12 კლასის პირველ სემესტრში ჯერ შეფასება 9 დაიმსახურა, ხოლო მეორე სემესტრში ის ათოსანი გახდა). კლასის 20% (ანუ ერთი მოსწავლე) სტაბილურად საშუალო შეფასების მქონე იყო. მას აკადემიურ უნარებზე მეტად უვითარდებოდა სამეურნეო უნარები (საოჯახო დატვირთვის გამო).

ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია ცხრილის სახით ასეთია:

ქულები	მე-11 კლასი	მე-12 კლასი (1-ელისემესტრი)	მე-12 კლასი (მე-2 სემესტრი)
შეფასება 6	1	1	1
შეფასება 8	1	0	0
შეფასება 9	3	1	0
შეფასება 10	0	3	4

### კვლევის შედეგები, დასკვნა და რეკომენდაციები, რეფლექსია

ინტერვენციის შედეგად აღმოჩნდა, რომ პროექტებით სწავლებამ მოსწავლეებში მნიშვნელოვნად აწია აკადემიური მოსწრება. ინტერვენციის პერიოდის ანალიზმა აჩვენა, რომ დამოუკიდებელი სამუშაოსა და დავალებების შესრულებისას საერთოდ არ იყო დაბალი შეფასება, მხოლოდ კარგი და საშუალო. ერთმა მოსწავლემ

(მოსწავლეთა 20%) მოახერხა შეფასება 8-დან 10-მდე აეწია, ხოლო სამმა 9 ქულის მფლობელმა \_ ათოსნის სტატუსის მიღება.

ჩემ მიერ გაწეული კვლევითი სამუშაოს შედეგად რეკომენდაციას ვუწევ ჩემს კოლეგებს:

- იზრუნონ მოსწავლეთა ლექსიკის გამდიდრებასა და საკომუნიკაციო უნარების განვითარებაზე ინოვაციური მეთოდებით;
- გავაცანოთ და გამოვავყენებინოთ მოსწავლეებს სწავლის სხვადასხვა, მრავალფეროვანი სტრატეგიები, ხერხები;
- მოხერხებულად დავეხმაროთ მოსწავლეებს ახალ სტრატეგიაში ჩართვის დროს, ვაჩვენოთ, რომ ისინი მარტო არ არიან პრობლემის წინაშე და მათზე ზრუნავს არა მარტო მშობელი და მასწავლებელი, არამედ მაღალი სოციალური შეგნების მოქალაქეები;
- მაქსიმალურად მივანიჭოთ მოსწავლეებს თავისუფლება აზრების, იდეების გამოხატვისას, საჭიროებისამებრ გავხდეთ მოსწავლეთა თანამშრომლები ნებისმიერი ფორმით (დამატებითი მეცადინეობა, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია), აუცილებლად გამოვიყენოთ განმავითარებელი შეფასებები ნებისმიერი წარმარების აღსანიშნავად, ზოგადად უმჯობესია თუ მოსწავლეებთან შეფასების დროს გამოვიყენებთ „სენდვიჩის მეთოდს“;
- გავითვალისწინოთ მოსწავლეთა სოციალური, კოგნიტური, სახასიათო და ტემპერამენტული მდგომარეობა;
- სწავლებისას გამოვიყენოთ ის აქტივობები, რომელიც საინტერესო იქნება მოსწავლეებისთვის და მიზნამდე მიგვიყვანს არა ხათრითა და შიშით, არამედ სიხარულითა და ხალისით;
- ხშირად გამოვიყენოთ ტექნოლოგიები (უფრო მეტად საიმედო და აკადემიური პორტალები) და ეცადეთ, რომ მოსწავლეებს შეაქმნევინოთ თავად ციფრული პროდუქცია;
- მოსწავლეთა ყველა წარმატებული ნაბიჯი აღნიშნეთ არა მარტო კლასში, არამედ სასკოლო თემსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. ეს

მოსწავლეებს ძალიან ახარებთ და ეზრდებათ სოციალური პასუხისმგებლობა;

- სწავლებისას გადავიდეთ მარტივიდან რთულ საკითხებზე, რათა საბოლოოდ მივანიჭოთ უპირატესობა ღია დაბოლოებიან შეკითხვებს დახურული დაბოლოების კითხვებთან შედარებით. ამით საკომუნიკაციო უნარებს უფრო განვავითარებთ.
- ავუხსენათ და დავუსაბუთოთ მოსწავლეებს სწავლის სტრატეგიების გამოყენების სარგებელი

მინდა აღვნიშნო, რომ აღნიშნული კვლევის ფარგლებში საკუთრივ შევძელი უფრო ორგანიზებული გამეხადა ჩემი მუშაობა. კვლევის დროს პროექტირებებმა საკუთრივ ახალ-ახალი პროექტების იდეა მოიტანა, რომელიც ნაწილობრივ ან სრულად განვახორციელებთ. ვცდილობდი, რომ მიმეღწია მეტი ეფექტისთვის ნაკლები ძალისხმევით, თუნდაც იმის გამო, რომ გვქონდა შეზღუდვა ფინანსური და დროის რესურსები. დასახული მქონდა მიზნად, რომ მოსწავლეებში განმევიტარებინა ის უნარები, რომელსაც ითხოვს ესგ და ზგემ. კვლევის პერიოდში გაწეული თანამშრომლობისთვის მადლობას ვუცხადებ ჩემს თანამშრომლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს, ასევე კვლევის დროს გაწეული თანადგომისათვის :

1. იზა ხეცურიანს \_პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის” კონსულტანტ-მასწავლებელი, სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის მუსიკის პედაგოგი
2. რუსუდან გონაშვილს\_სოფელ ხორნაბუჯის ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელს, სახელმწიფო ენის მასწავლებელთა ასოციაციის დამფუძნებელს, დირექტორი.
3. როლანდ ხოჯანაშვილს\_ჟურნალისტი.
4. ეკატერინე წულუკიძეს\_სოფელ ფარის საჯარო სკოლის ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელი, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს პირველი ხუთეულის ფინალისტი.
5. ტარიელ და მარინა ხარხელაურებს.
6. დინა მირცხულავას\_ნოველისტი, ჟურნალისტი.

7. გიორგი კილაძეს\_ საქართველოს პარლამენტის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე.
8. ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლის დირექტორს დავით ცვარიანს, სკოლის მთელ პედკოლექტივს, მოსწავლეებს და მშობლებს.
9. სოფელ წეროვნის N2 საჯარო სკოლას\_ დირექტორი ეთერ ჩიხლაძე.
10. ირმა ჯაჭვლიანს\_ გაზეთ „ლილეს“ რედაქტორი.
11. ნაზი ჭილაძეს\_ სოფელ ლახამულას საჯარო სკოლის დირექტორი.

უნდა აღვნიშნო, რომ კათედრის წევრებთან შეხვედრაზე აღნიშნული კვლევის წარდგენის დროს კოლეგების უკუკავშირი იყო კონსტრუქციული და საქმიანი. მივიღეთ საინტერესო რჩევები, კერძოდ:

1. კვლევის შედეგები გავუზიარო სხვა პედაგოგებს.
2. გავაგრძელო ინტერვენციების განხორციელები და მომავალ წელსაც დავნერგო მსგავსი აქტივობები.
3. გავაგრძელო სამუშაო შეხვედრა კოლეგებთან, რათა დეტალურად გავუზიარო კოლეგებს მიღებულ გამოცდილება.
4. მომავალ წელს სხვა კლასებშიც დავნერგო პროექტებით და ინოვაციური სხვა მეთოდებით სწავლება, რაც ხელს შეუწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას.

კოლეგებმა აღნიშნეს, რომ ჩემს გამოცდილებას, რჩევებსა და რეკომენდაციებს გაითვალისწინებენ თავიანთ პრაქტიკაში და საგაკვეთილო პროცესებში ჩართავენ მსგავს აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში მომმართვენ კონსულტაციის მიღების მიზნით.

ჩემთვის მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი იყო კოლეგების უკუკავშირი, რომელიც უფრო მეტად დამეხმარა კვლევის საბოლოო რედაქციის ჩამოყალიბებაში.

### ბიბლიოგრაფია

1. ეროვნული სასწავლო გეგმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
2. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები



3. რობერტ ჯ. მარზანო, დებრა ჯ. ფიქერქინგი, ჯეინ ი. ფოლოქი, ეფექტური სწავლება სკოლაში. თბილისი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
4. მაია ინასარიძე, სოფიკო ლობჯანიძე, მანანა რატიანი, ირინა სამსონია, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი ნაწილი II. 2016 წელი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
5. სოციალურ მონაცემთა ანალიზი, ნ. დურგლიშვილი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი 2006
6. თვისებრივი კვლევის მეთოდები, თ. ზურაბიშვილი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი 2006
7. სატრენინგომასალა - მოდული: სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2014 წელი.
8. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.  
სააზროვნო უნარების გავითარების ეფექტიანის ტრატეგიები
9. განვითარებისა და სწავლის თეორიები (2008) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი: გამომცემლობა "საქართველოს მაცნე".
10. პროექტებით სწავლება და პროექტის სახეობები, ინტერნეტჟურნალი „მასწავლებელი“, რუსუდან გონაშვილი, 11 ნოემბერი, 2014 წელი